ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N23

სხდომის ჩატარების თარიღი: 2023 წლის 28 მარტი

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი, ოთახი 210.
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომის სპიკერები: საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე** და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები:

მ.სიმონიძე, მ. კოსტავა, თ.ნადირაძე, ბ.ხამაშურიძე, ზ.მამასახლისი, გ.შუშანია, კ.გურული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

გ.ბასილაძე, მ.ნიჟარაძე, ე.არჩაია, ი.შენგელია, მ.ჭოხონელიძე, გ.მანაგაძე.

სულ: კომისიის 15 წევრი.

არ ესწრებოდა: მ.რიჟამაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, გ.კილაძე, ლ.შალამბერიძე, პ.ლილუაშვილი, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, დ.ბახტაძე.

სულ: 8 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე.**

სხდომა გახსნა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, **ა.კოპალეიშვილმა სიტყვა გადასცა** ქალბატონ რ.ჩინჩალაძეს.

1. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის, ქალბატონ **რ.ჩინჩალაძის** ინფორმაცია გენერალური გეგმის კონცეფციის შესახებ: „წარმოდგენილ კონცეფციაში კიდევ ერთხელ დაზუსტდა ბევრი საკითხი, რომელშიც ექსპერტები იყვნენ ჩართული. ამჟამად მიმდინარეობს უფრო მაღალი იერარქიის მქონე დოკუმენტის შემუშავება სახელმწიფოს მიერ. 2019 წელს სამშენებლო კოდექსით განისაზღვრა, რომ ყველა ქალაქს უნდა ქონდეს გენგეგმა. არსებობს საყოველთაო მოწყობის დოკუმენტი ქვეყანაში და ჩვენი დოკუმენტიც უნდა შედგეს მისი მოთხოვნების გათვალისწინებით. აღვნიშნავ, რომ ქალაქის მერიამ დროზე დაიწყო ამ პრობლემებზე მუშაობა. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით ქალაქები კონცეფცია და გენგეგმა ერთდროულად ადგენენ“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „მეორე ეტაპს სხვა კომპანია განახორციელებს თუ იგივე?“

რ.ჩინჩალაძე: „ჩვენს შემთხვევაში დასრულდა პირველი ეტაპის სამუშაოები კონცეფციის შესამუშავებლად, თუმცა არის შესაძლებლობა, რომ მეორე ეტაპი სხვა კომპანიის მიერაც იყოს შემოთავაზებული, ანუ მეორე ეტაპზე ცალკე ტენდერი გამოცხადდება“.

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „წინა ვარიანტში ბევრი საკითხი იყო სადაო. რაიმე გაკეთდა იმის შემდეგ?“

რ.ჩინჩალაძე: „კონცეფცია შედგება სამი ეტაპისაგან. ხედვიდან გამომდინარე, გაკეთდა გათვლები ქალაქის ყველა მიმართულების მიხედვით, რომელ მიმერთულებას რა უნდა „მივაბათ“. გამოიკვეთა ინსტრუმენტები და საშუალებები ამ მიზნების მისაღწევად“.

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „დოკუმენტში ზოგიერთი ჩანაწერი გაუგებარია. ქუთაისი რომ იმერეთის ცენტრია, ეს ხომ ისედაც ვიცით?“

რ.ჩინჩალაძე: „ჩვენ საუბარი გვაქვს მიმზიდველი ცენტრების ფორმირებაზე. სწორად უნდა შეიქმნას ეს ცენტრები და განისაზღვროს აქცენტები, მათ შორის რა თქმა უნდა ინვესტორებისათვის. ამავე დროს ქუთაისი რჩება დასავლეთ საქართველოს ძირითად მიმართულებად. გეგმის ძირითადი მიზანია სწორი მიმართულება და სწორი განაშენიანება“.

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „გამოდის, რომ კონცეფციას ვიხილავთ და არა სივრცითი განვითარების გეგმას“.

რ.ჩინჩალაძე: „დიახ, ამასთან, ქალაქის უბნები უნდა განვიხილოთ ისე, რომ არ ავცდეთ კონცეფციის ძირითად მიმართულებას. სივრცითი მოწყობა თავის თავში განაშენიანებასაც გულისხმობს“.

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „აქ ჩვენ არ ვსაუბრობთ ქალაქის ეკონომიკური განვითარების გეგმაზე ან სპორტის განვითარების სტრატეგიაზე. ეს დოკუმენტი ეხება პოლიტიკის ნაწილს. ეს კონცეფცია არის შესაძლებლობა, კვლევების საფუძველზე გავიგოთ რა მდგომარეობაა ქალაქში და საით წავიდეთ“.

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „დავაზუსტოთ, გენგეგმას ვიხილავთ თუ კონცეფციას?“

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „ვიხილავთ კონცეფციას, რომელიც ყველა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს. ეს არის კონკრეტული პოლიტიკის ერთი დოკუმენტი, რომელიც მეორე ეტაპისთვის მზადდება“.

კომისიის წევრი **გ.შუშანია:** „კარგი იქნება თუ კონცეფციაში აისახება ციფრული მიმართულებაც“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „იქნებ დავაკონკრეტოთ საკითხები და სხდომას ნუ ჩავშლით. ამ ადამიანს არც ვაცადეთ გამოსვლის დასრულება“.

რ.ჩინჩალაძე: „ასე ზეპირი საუბრით შეიძლება ძნელი აღსაქმელი იყოს, მაგრამ ხვალ სხდომაზე პრეზენტაციის სახით წარმოგიდგენთ რუქას და ყველა მიმართულებას, რაც კვლევით დამტკიცდა. მაგალითად, „ცოდნის სინერგიულ ქალაქთან“ მიმართებით გამოკვეთილია საერთაშორისო უნივერსიტეტის და ფიზიკა-მათემატიკური სკოლის როლი და მნიშვნელობა. ამ მიმართულების მიხედვით საუბარია ჩვენი ქალაქის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრად გადაქცევაზე. ვიმეორებ, რომ ეს არის დათქმები, კონცეფცია, რომელთა რეალობას ქცევა მოგვცემს განვითარებულ ქალაქს. დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალაქის სიძველის წარმოჩენას, არქეოლოგიური გათხრების შედეგებს, ბოტანიკურ ბაღს და უქიმერიონის გორას. აუცილებელია „მწვანე დერეფნების“ გაჩენა. დოკუმენტში ასახული პრობლემების და გამოწვევების ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების, ნაწილი კი ცენტრალური ხელისუფლების მოსაგვარებელია. კონცეფციაში საუბარია სამედიცინო კლასტერზე და მის გარშემო განაშენიანების გადახედვაზე. გეგმის დამტკიცებამდე რამდენიმე დოკუმენტის მიღება დაგვჭირდება. ერთ-ერთია ტრანსპორტის დოკუმენტი და მიწათსარგებლობის გეგმა.

კომისიის წევრი **გ. შუშანია:** „საავადმყოფოს მიმდებარედ განაშენიანება აკრძალულია?“

რ.ჩინჩალაძე: „არა, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი მჭიდრო განაშენიანება, ანუ ისეთი, რომელიც მხოლოდ ინვესტორის სურვილს ეფუძნება. ყურადღება მიექცევა საერთოდ გაუნაშენიანებელ ტერიტორიებსაც. დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი 2028 წლისთის უნდა იქნას მიღებული. ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომ ქალაქი ქაოტურად არ განვითარდეს. თუ საკანალიზაციო სისტემას არ მივიღებთ მხედველობაში, ქალაქს საერთაშორისო სტანდარტებითაც არც ერთ ნაწილში არ აქვს საგანგაშო მდგომარეობა“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თუ არის რაიმე პრობლემა, რომელიც არ თავსდება ჩამოთვლილ მიმართულებებში, მაგალითად, მაღალი ინტენსიობის შენობები?“

რ.ჩინჩალაძე: „ამ მხრივ, გარკვეული შეზღუდვები იქნება, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალური ნაწილისათვის, ისტორიული ნაწილისათვის. ჩვენც ფაქტობრივად საერთოდ ახალ

დოკუმენტს ვქმნით, ბოლო განაშენნიანების დოკუმენტი ქალაქმა 1984 წელს მიიღო. ეს ოთხივე მიმართულება არ კრძალავს მაღალი შენობების აგებას, თუმცა შეზღუდვები გვექნება რუსთაველის, ჯავახიშვილის, გამსახურდიას და აღმაშენებლის ქუჩებზე".

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თუ აისახა დოკუმენტში ყოფილი ქარხნების ტერიტორიაზე განაშენიანების საკითხები".

რ.ჩინჩალაძე: „დიახ, კონცეფცია ამასაც ითვალისწინებს".

კომისიის წევრი **კ.გურული:** „თუ მოიაზრება კონცეფციაში წითელი ხიდი-ჯაჭვის ხიდი ტერიტორიის რეაბილიტაცია ან სახეცვლილება?"

რ.ჩინჩალაძე: „დიახ, ეს ტერიტორია ცენტრის ზონაა და მომართვიანობაც მაღალია. რუსთაველის გამზირი შედის განაშენიანების არეალში. შენობები არ უნდა მივიღოთ პირდაპირ ქჩის პირას და არ უნდა შემცირდეს გამტარუნარიანობა.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „შეიძლება თუ არა რუსთაველის გამზირზე, პრესის სახლთან არსებული საშიში მოსახვევი როგორმე გასწორდეს?"

კომისიის წევრი **კ.გურული:** „სხვათა შორის, ძველი გენგეგმის მიხედვით ამ ნაწილიდან სახლების გადატანა იყო გამიზნული და ასეთი სახით პრობლემის მოგვარება.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „როგორც ჩემთვის ცნობილია, რუსთაველის გამზირზე კიდევ რამდენიმე პროექტის მშენებლობა იგეგმება და იმ პრობლემას, რაც მე აღვნიშნე, თუ ამათ ნებართვები მივეცით, საერთოდ ვერ მოვაგვარებთ".

რ.ჩინჩალაძე: „მომართვის შემდეგ ყველაფერი კანონის ფარგლებში კეთდება და ხელოვნურად ვერ ავკრძალავთ".

კომისიის წევრი **მ.კოსტავა:** „ინვესტორებისათვის სასარგებლო და საინტერესო თუ იქნება ეს კონცეფცია?"

რ.ჩინჩალაძე: „დიახ, ამ საკითხებზე 16 შეხვედრა გაიმართა. ეს კონცეფცია, როგორც მოგახსენეთ, იდეის, ხედვის დონეზეა. მეორე ეტაზე უკვე კონკრეტული შეთავაზებები იქნება გათვალისწინებული".

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „მეგობრებო, ეს არის კონცეფცია, გამოვლენა იმისა, თუ საით მივდივართ. მთავარი არის მომდევნო ეტაპი, მუშა პროცესი. ჩვენი თხოვნა იქნება, დოკუმენტის კეთების პროცესში მაქსიმალურად ჩაგვრთოთ და მეტი შეხვედრა მოეწყოს კომისიებში, რომ კურსში ვიყოთ. ამასთან, გთავაზობთ ამ საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-13, თავი შეიკავა გრიგოლ შუშანიამ და გაგა მანაგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით გაერთიანებული კომისიების სხდომა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი**

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**